

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი  
რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N5

ქ. თელავი

2019 წლის 22 თებერვალი

5

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ლაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი,  
ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბ  
მუსაევი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული,  
ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დეპუტატები: მაია მარკოზაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, ტიტე დარეჯანიშვილი,  
საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და  
ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №69 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

მომხს. დ. ლაღანიძე

მოსმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №69 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვას: დავით ლაღანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №69 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების საკითხს.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებულია 2019 წელს საქართველოში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის წარსადგენი 21 პროექტი, რომელსაც ცვლილებების შედეგად დაემატება კიდევ ერთი, „სოფ. ვანთაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა და სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა.“

პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 340 718 ლარს, საიდანაც რეგ. ფონდის დაფინანსებაა 323 682 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებაა 17 036 ლარი. პროექტი გათვლილია დაახლოებით 1200 ბენეფიციარზე.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №69 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



დავით ლაღანიძე